# სულიერი ბრძოლა ანჩისხატისა და სასწაულთმოქმედი სიწმიდეების დასაბრუნებლად მამულისა და სარწმუნოების გადარჩენისათვის

# 1995-2005

«საუკუნეების მანძილზე ანჩისხატი
თავისი მადლით იცავდა და იფარავდა საქართველოს»
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II



კათოლიკოს-პატრიარქი ანჩისხატის სალიტანიო ხატთან.

მოწევნულ ჟამს მორწმუნე ერმა სალიტანიო ანჩისხატით საქართველოს ტაძრები მოილოცა.

« კურთხეული არს მომავალი სახელითა უფლისათა »

# სიწმიდეები ბრუნდებიან



,,პორტ-არტურის“ ღვთისმშობლის ხატი.

ხატის ისტორია იხ. ბოლო გვერდზე.

# საეკლესიო ქონების მიტაცება და სახელმწიფო მუზეუმში "დაცვა", ანუ სატმებრძოლობა საქართველოში




სასულიერო სემინარია – ახლანდელი სახელმწიფო მუზეუმი

1923

## ყველაფერი ასე დაიწყო...

1917 წლიდან მძიმე დრო დაუდგა ქართულ ეკლესიას: ხელისუფლება ჩქარობდა ეკლესია-მონასტრებიდან ვერცხლისა და ოქროს ხატების, ბარძიმ-ფეშხუმების, ჯვრების გამოტანასა და გაყიდვას. ამისათვის შექმნეს გარკვეული საკანონმდებლო ბაზა. 1923 წლის 23 ნოემბერს (გიორგობას) საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება საეკლესიო განძეულობის გამოყენების შესახებ, სადაც მითითებული იყო: **„1. დახურული ეკლესიების მთელი საეკლესიო ქონება არის ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებაში; 2. ამ ქონების ის საეკლესიო განძეულობა, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, დაცული იქნას სახალხო განათლების სამუზეუმო დაწესებულებათათვის გადასაცემად“.**

## 70-წლიანი უსჯულოების შემდგომ ერი ეკლესიისკენ შემობრუნდა

1995
1996

ძნელბედობის ჟამს ხალხმა თავისი სასწაულთმოქმედი სიწმიდეები გაიხსენა, ამიტომაც მაცხოვრის ხელითუქმნელი ანჩისხატის დაბრუნებას მორწმუნეები უკვე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისგან ითხოვენ. ამ საკითხთან დაკავშირებით დაიწყო ხელმოწერების შეგროვება, რაც დღემდე გრძელდება...

## პატრიარქი მთავრობისგან ანჩისხატის ხელითუქმნელ ხატს მოითხოვს

ერთ-ერთი უდიდესი სიწმიდე, რომელსაც წარსულში განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა ქართველ ხალხზე, არის ამჟამად თბილისის ხელოვნების მუზეუმში დაცული „ანჩისხატის ხელითუქმნელი ხატი“ მაცხოვრისა თავისი კარედით. ძველი წყაროებიდან და გადმოცემებიდან ცნობილია, რომ იგია ის საყოველთაოდ ცნობილი ხელითუქმნელი ხატი, რომელიც იესო ქრისტემ სახეზე მიდებით გამოსახა ტილოს ნაჭერზე და გაუგზავნა ედესის მეფე ავგაროზს.

ეს არის ჩვენი ქვეყნისთვის უდიდესი მადლის მომნიჭებელი სიწმიდე,

ამიტომაც მის წინაშე მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს ლოცვა. სამწუხაროდ, უკვე რამდენიმე ათეული წელია მას წირვა-ლოცვის მადლი არ მოჰფენია... ჩვენთან შემოდის მორწმუნეთა მრავალი თხოვნა, სადაც ისინი გამოთქვამენ დიდ სურვილს მისი ტაძარში გადასვენების თაობაზე.

დღეს, როდესაც უჭირს საქართველოს, როგორც სულიერად, ისე მატერიალურად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ასეთ სიწმიდეებს. აღსანიშნავია, რომ რუსეთში აქტიურად უბრუნდება ეკლესიას ცნობილი ხატები და ნივთები.

გთხოვთ, თუ შესაძლებელია, გასცეთ ბრძანება „ანჩისხატის ხელითუქმნელი ხატის" საპატრიარქოსთვის გადმოცემის შესახებ. იგი, წმ. ნინოს ჯვართან და სხვა სიწმიდეებთან ერთად, სათანადოდ იქნება დაცული ტაძარში და მის წინაშე აღევლინება ლოცვები ჩვენი ქვეყნის მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

**როდესაც მიმართვა გაზეთ "მადლში" ღიად გამოქვეყნდა და სახელმწიფოს მხრიდან უპასუხოდ დარჩა, ყველა მივხვდით, რომ პატრიარქისა და მრევლის თხოვნა არ დაკმაყოფილდა. თუ რატომ არ დაუბრუნა სახელმწიფომ ეკლესიას თავისი კუთვნილი ხატი, მალევე გამოჩნდა...**

## 1999 1999 წლიდან საქართველოდან სიწმიდეების გატანის აფერა ჩაიშალა!

ქართველმა ერმა, მიუხედავად ქვეყანაში არსებული რთული ვითარებისა, მართლაც გულწრფელად დაიცვა წინაპრებისგან დღევანდლამდე ტანჯვით მოტანილი სიწმინდეები. შევარდნაძე-გუროვის ხელით მკრეხელური მცდელობა საქართველოდან საზღვარგარეთ სიწმინდეების გატანისა, უფლის შეწევნით არ განხორციელდა.

## 2001 კვლავაც გაკეთდა მოძღვრებისა და მრევლის ერთობლივი მიმართვა მთავრობისადმი

ერთ დროს ძალით წაღებული საეკლესიო ქონება სჯობს, ნებით დავუბრუნოთ მის ერთადერთ პატრონს, ეკლესიას, რომელსაც თვით უფალი ჰპირდება, რომ ვერ დაძლევენ ბჭენი ჯოჯოხეთისანი.

მოგმართავთ თხოვნით, გაითვალისწინოთ ეკლესიის მოძღვრებისა და მრევლის თხოვნა. მიიღოთ სამართლიანი გადაწყვეტილება — მაცხოვრის ხელითუქმნელი ხატი დაუბრუნდეს თავის კუთვნილ ადგილს. ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, უზრუნველყოფთ მის ხელშეუხებლობას. **2001 წ. 29 აგვისტო, ანჩისხატობა**

**„მთავრობა, რომელიც ვერ განსაცდელში მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს ვერ უშველის, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დაუბრუნებს?!"**

**მართალია 2001 წელს ხატი ეკლესიას არ დაუბრუნეს, მაგრამ მრევლის მცირე ნაწილმა დიდი ბრძოლის შედეგად იმას მაინც მიაღწია, რომ მუზეუმში მათ ლოცვის ნება დართეს.**

## 2002 სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის იდება კონსტიტუციური შეთანხმება, რომლის თანახმადაც ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს მისი კუთვნილი ქონება, თუმცა...



2001 წ. მორწმუნეები ანჩისხატის სასწაულთმოქმედ ხატთან.

## 2003 კონსტიტუციური შეთანხმების შემდეგომ, ანჩისხატობას, მოძღვრებმა და მრევლმა კიდევ ერთხელ მიმართეს მთავრობას, მაგრამ ამაოდ...

მრევლმა სახელმწიფო მუზეუმის დირექციას ანჩისხატის დაბრუნების მოთხოვნით კიდევ ერთი მიმართვა აახლა. ანჩისხატის ტაძრის წინამძღვრის, დეკანოზ რევაზ ტომარაძის ლოცვა-კურთხევით მორწმუნეებმა მუზეუმისკენ გეზი ნაშუადღევს აიღეს.

**დეკანოზი რევაზ ტომარაძე:** „როგორ შეიძლება ხატის პატიმრობაში ყოფნა? ხმა ღვთისა – ხმა ერისაო, ხომ გაგიგონიათ? უნდა შეისმინონ ერის ხმა და დაემორჩილონ. ამბობენ, ანჩისხატს ვერ დაიცავთო. ხატი თავის თავს ყველგან დაიცავს. მრევლში არის ხალხი, რომელიც მის დაცვას ფინანსურადაც უზრუნველყოფს. მოტივად მოაქვთ, საეკლესიო მუზეუმი რომ აიგება, იქიდან ვისაც უნდათ, იმას გადასცემენო, რაც მხოლოდ დროის გაყვანის პოლიტიკად გვეჩვენება“. “24 საათი“, 25.08.2003

---

## ერი და ბერი ძალისა და ღონის არ დავიშურებთ ანჩისხატისთვის სახატის შესაქმნელად

**თუ ხელს არ შეგვიშლიან!**

> „ხოლო გეტყჳ თქუენ: უკუეთუ არა ალემატოს სიმართლე თქუენი უფროჲს მწიგნობართა და ფარისეველთა, ვერ შეხჳდეთ სასუფეველსა ცათასა“ (მათე; 5.20).




პროექტში გათვალისწინებული იქნება ტემპერატურული რეჟიმის დაცვისა და უსაფრთხოების პირობები. პროექტის დაფინანსებას მრევლი საკუთარ თავზე იღებს.

ისტორიას ნუ დავამახინჯებთ, უფალმა ანჩისხატის ტაძარში ინება თავის ხატის დაბრძანება და დღეს ერიც სწორედ უფლისავე შეწევნით ამასვე ითხოვს. ერთეულები კი ამ ღვთისთვის სათნო საქმეს ვერ შეაჩერებენ!

ნექტარი ბელაგვა: «უკანასკნელ ჟამს ჩვენი სარწმუნოების გამო კიდევ უფრო დიდი დევნა იქნება!.. ხატების გამოც კი ნალოგს (გადასახადს) აიღებენ!»

**სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული ხელშეკრულებით გამხნევდა მრევლი და მუზეუმში მყოფ სიწმინდეთა წინაშე ლოცვის მსურველთა რიცხვიც გაიზარდა. მუზეუმის დირექციამაც არ დააყოვნა და მლოცველებზე გადასახადი დააწესა.**

"კეთილი ინებონ, მობრძანდნენ, გადაიხადონ საფასური და ილოცონ." - ხმამაღლა აცხადებს მასმედიის საშუალებით მუზეუმის დირექცია.

როდესაც დაინახეს, რომ თავისი სიწმინდეების თაყვანისმცემელი ხალხი მათგან დადგენილ საფასურს არ შეუშინდა და ლოცვის მსურველი (მათ შორის სტუდენტი-ახალგაზრდობა) იმდენად ბევრი აღმოჩნდა, რომ პრაქტიკულად ე. წ. მუზეუმი ფუნქციას კარგავდა, შეეშინდათ და...

3 წლის შემდგომ, სახელმწიფო მუზეუმმა სიტყვა გატეხა – მრევლი გარეთ გამოაგდო და წმინდა ხატებთან ლოცვა აუკრძალა; – ხატმებრძოლებმა თავისი სახე ვერ დამალეს. მართლმადიდებლობის ზეიმზე მოძღვარი და მრევლი სახელმწიფო მუზეუმიდან გამორეკეს. მამა მიქაელმა პარაკლისი ქუჩაში გადაიხადა.

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო საბჭომ 2003 წლის 23 დეკემბერს ასეთი მკრეხელური დადგენილება გამოიტანა**

„კატეგორიულად აიკრძალოს მუზეუმის განყოფილებებში, საგანძურის საგამოფენო დარბაზში, ნებისმიერი თვითნებური აქციის ჩატარება, მათ შორის, ლოცვებისა და „პარაკლისების" მოწყობა.

მუზეუმზე მომაგრებულ პოლიციელებს დაევალოთ ნებისმიერი პიროვნების (ან ადამიანთა ჯგუფის) გამოყვანა საგანძურის დარბაზიდან, თუ ისინი არ დაემორჩილებიან სამეცნიერო საბჭოს ამ დადგენილებას."

**აი, ვის მიერ და როდის შეერქვა მართლმადიდებლების მიერ ჩატარებულ ლოცვებსა და პარაკლისებს თვითნებურობა და აქციები!**

მუზეუმის დადგენილებამ ეჭვქვეშ დააყენა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება „სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს სახელმწიფო დაცვაში მყოფ საეკლესიო საგანძურს." (მუხლი 8-1)

**თავი მწამს, ბოლო მაკვირვებს! ვის ვენდოთ?!**

# 2004

**საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრებისა და მრევლის ძალისხმევით შეიქმნა გამოცემა "სიწმიდეები გვიხმობენ", რომელიც მიეძღვნა ანჩისხატის თავისსავე საყდარში დაბრუნებას.**



პრეზენტაცია დასაწყისში ანჩისხატის ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზ რევაზ (ტომარაძემ) დალოცა

**გამოცემა "სიწმიდეები გვიხმობენ" დალოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II.**



საქართველოში 70 წლიანი ხატმებრძოლობის თემას გულისტკივილით შეეხო ვაკის სამების ტაძრის მოძღვარი მამა მიქაელი (წულუკიძე)



პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვიდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის მოძღვარი მამა კონსტანტინე (გიორგაძე)

„სიტყუათა შენთაგან განჰმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო!" (მათე 12,37)



ანჩისხატის ეზოს შენობა.
მრევლი ჟურნალის გამოცემაზე მუშაობს.



პრეზენტაციის ბოლოს ყველამ იგალობა ანჩისხატის ტროპარი და გამოთქვა სურვილი – მტკიცედ დადგნენ სიწმიდეების სადარაჯოზე.

აღსანიშნავია, რომ გამოცემა "სიწმიდეები გვიხმობენ" ანჩისხატის ეზოს შენობაში იმ რთულ დროს შეიქმნა, როცა იგი ეკლესიისათვის გადაცემული არ იყო. დღეს, როცა შენობა მთავრობამ ტაძარს დაუბრუნა მრევლი სასოებით ელოდება მოღვაწეობის გაგრძელებას...

## სხვადასხვა ეკლესიის მოძღვრები და მრევლი, მიუხედავად შიდა თუ გარე წინააღმდეგობისა, ყოველ ოთხშაბათსა და კვირას 2 სთ-ზე დატყვევებული სიწმიდეების პატივსაყოფად მუზეუმთან ლოცვას აღავლენენ. უფლის სადიდებლად შემოგვიერთდით!

„ნეტარ არიან მოსავნი და მადიდებელნი შენნი და თაყუანისმცემელნი მაცხოვრისა ხატთ საშინელთ!“

# რა არის თვითნებობა და რა კიდევ ღვთის ნება?

„არა ცილისწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა“

საზოგადო ცოდვების (განსაკუთრებით ხატმებრძოლობის) წინააღმდეგ ბრძოლა თვითნებურობა კი არა, როგორც წმინდა მამები გვასწავლიან თითოეული მართლ-მადიდებელის მოვალეობაა! არცერთ დღეს არ შეიძლება წმინდა ხატები, როგორც ექსპონატები შეურაცხყოფილნი იყვნენ. **„სადაცა მე ვიყო, მუნცა მსახური ჩემი იყოს“** (იოანე 12,26).













„ხოლო რომელი იქმნ ჭეშმარიტებასა, მოვალს ნათლად, რაითა ცხად იყვნენ საქმენი მისნი, რამეთუ ღმრთისა მიერ ქმნულ არიან“. (იოანე; 3.21).

„დაღათუ ესენი დუმნენ, ქვანი ღაღადებდენვე“. (ლუკა; 19.40).

## საქმემან შენმან გამოგაჩინოს!

# ვაი მის კაცისა, რომლისაგან მოვიდეს საცდური.

შეგვზღუდეთ?! ნუთუ ჩვენი ლოცვა და ლიტანიობა – აქციები და მიტინგებია?!
სანტერესოა, ანჩისხატის დაბრუნების თხოვნა თვითნებურობა როდიდან გახდა...

# კეთილ საქმეს ხომ ყოველთვისაც მაზრახავს ბოროტი. ნაყოფით სცანით!

საქართველოს სხვადასხვა ტაძრებს დღეს მრევლის მიერ შენაწირი ანჩისხატი ამშვენებს და მის წინაშე ათასობით მორწმუნე საქართველოს კეთილდღეობისათვის ლოცულობს. მრევლის ასეთმა მოშურნეობამ სამწუხაროდ ზოგიერთში გადამეტებული შუღლი და შური აღძრა. სახელმწიფო პოლიტიკის შემსრულებელნი ეკლესიაშიც შეიმჩნენ. სირცხვილი მათ, ვინც ამ რთულ ჟამს მრევლს და განსაკუთრებით ბავშვებს ცილს სწამებს და კეთილი საქმის კეთებაში ხელს უშლის. **საშინელო ანჩისხატო ძალითა შენითა მოაქციე მბრძოლნი შენნი.**





„და რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი ჩემდა მიმართ მორწმუნეთაი, უმჯობეს არს მისა, დამო-თუ-ეკიდოს წისქვილი ვირით საფქველი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღვისასა“ (მათე 18,6).

ანჩისხატი ის ხატი არ არის, რომელიც ლიქნითა და ფარისეველთა პოლიტიკით დაბრუნდება. ანდა ასეთი დაბრუნებით უფალმა როგორ უნდა გადაარჩინოს საქართველო. პირიქით, სწორედ დრო მოვიდა მის წინაშე დაერქვას ყველაფერს თავის სახელი: რა არის თვითნება და რა კიდევ ღვთისნება? რა არის უფლის მორჩილება და რა კიდევ ბრმად მორჩილება და პირმოთნეობა? რა არის ჭეშმარიტი კურთხევა და რა კიდევ სახელმწიფო ბრძანება. **განა უფლის უფრო მეტად არ უნდა გვეშინოდეს ვიდრე ბოროტის? მეტადრე მაშინ როდესაც ხატს — საშინელი ანჩისხატი ჰქვია!**



უფალო შეგვიწყალენ

# უხრწნელ ანჩისხატს თაყვანი-ვსცეთ ივერიელნო!

დღეს, როდესაც ჩვენს მამულსა და სარწმუნოებას აშკარა საფრთხე დაემუქრა, ხალხმა კიდევ უფრო მეტი სასოება და მოშურნეობა გამოიჩინა სასწაულთმოქმედი სიწმიდეებისადმი, რომელთა უდიდესი მადლი და შეწევნა საქართველოს სწორედ ახლა სჭირდება. 2004 წლის შობის მარხვის დასაწყისში შეიქმნა ანჩისხატის სალიტანიო ხატი, რომლითაც მრევლმა დაიწყო დედაქალაქის გარშემო შემოლოცვა, ასევე მუზეუმში დატყვევებული ხატებისა და მათი ისტორიების გავრცელება.



## თბილისი



## გულისხმა-ჰყავ ჟამი მოხედვისა შენისა









მრევლმა გადაწყვიტა არამარტო თბილისის, არამედ საქართველოს სხვადასხვა ქალაქების ტაძრებისთვისაც მიეძღვნა ანჩისხატის ასლები და ლოცვები. ღ მ ე რ თ მ ა   შ ე უ წ ი რ ო თ.

# ნეტარ არს ერი იგი, რომელმან იცის გალობაჲ შენი

**2005**

25 თებერვალს, ივერიის ღვთისმშობლის ხატის ხსენების დღეს ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით ქუთაისის თითქმის ყველა ტაძრის მოძღვარმა და მრევლმა სალიტანიო ანჩისხატი ქალაქის გარშემო დიდი პატივით შემოატარა.

## ქუთაისი





« მშჳდობაჲ ცათა ზედა და დიდებაჲ მაღალთა შინა! »









# არა არს ღმერთი მკუდართაჲ, არამედ ცხოველთაჲ

„ლიტანიობით და გალობით, აქებით და ადიდებით ყოველი სული და ყოველი დაბადებული, ყოვლისა სოფლისა მხსნელსა და მფარველსა საშინელსა ანჩისხატსა.“



## რუსთავი



„რამეთუ რომელნი სულითა ღმრთისაჲთა ვლენან, ესენი არიან ძენი ღმრთისანი“ (რომ. 8,14)







რუსთავიდან თბილისში – სამების ტაძარში ათასამდე ფეხით მომავალი მართლმადიდებელი ასიათას მოწამეთა მოწყვეტის ადგილას მეტეხის ხიდზე – სალიტანიო ანჩისხატით.

ბირო ღვთისაო, შენს ზეციურ ფრთებქვეშ სიყვარულით შეგვკრიბე და დაგვიფარე შვილნი შენნი

# ანჩისხატო დაიცევ და დაიფარე საქართველო

## ამბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითის ლოცვა-კურთხევით მრევლმა სალიტანიო ხატით ამჯერად თელავი მოილოცა.



### თელავი







ქრისტე ღმერთო, რომელი გესვიდეს შენ, არა სადა დავარდეს



უფლის მართლად მადიდებლებს ვერავინ შეაჩერებს...



სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავს

# ანჩისხატი ერმა ლიტანიობით იმ ტაძარში უნდა დააბრუნოს, სადაც იგი ბოლოს ბრძანდებოდა



„როცა ერი მუზეუმიდან ანჩისხატს დაიბრუნებს, აწყურის ღვთისმშობლის ხატი გამოჩნდება და ივერიის ღვთისმშობლის ხატი ჩამობრძანდება, მაშინ გაბრწყინდება საქართველო“

გაბრიელ ბერი

**მამა გაბრიელის სულიერ შვილს, დედა პარასკევას, რომელიც თავისი საყვარელი მოძღვრის საფლავს დღესაც ერთგულად უვლის, ვთხოვეთ, განემარტა მამა გაბრიელის ის სიტყვები, რომელიც ანჩისხატის დაბრუნებას ეხებოდა.**

**სამთავროს დედათა მონასტრის მონაზონი დედა პარასკევა:**

მამა გაბრიელი ამბობდა, რომ ჩვენ ბოლო ჟამის ადამიანები ვართ და გადაგვარჩენს მხოლოდ ღვთისა და მოყვასის სიყვარული. მამა გაბრიელი ანჩისხატის დაბრუნებას და ივერიის ღვთისმშობლის ჩამობრძანებას საქართველოს გადარჩენას უკავშირებდა და ამბობდა: — თუ არა ამ ორი უდიდესი სიწმიდის მობრძანება, საქართველო რამ უნდა გადაარჩინოს, ივერია როგორღა უნდა გაბრწყინდესო? მამა გაბრიელის ნათქვამში სიტყვა — „დაბრუნება“ თვითონვე მიგვანიშნებს, რომ ანჩისხატი იმ ტაძარში უნდა დაბრძანდეს, საიდანაც იგი ბოლოს გამოაბრძანეს. უწინდებურად, ანჩისხატობა ქართველმა ერმა ამ ხატთან ერთად თავის სახელობის ტაძარში რომ უნდა იდღესასწაულოს — მარტივი ჭეშმარიტებაა. ჩვენ უამრავი ეკლესია სწორედ იმიტომ გვაქვს, რომ ხატები იქ ბრძანდებოდეს და იქ ვლოცულობდეთ. ხალხის დასაბნევად უცხო სწავლებებს იგონებენ, ისე რომ ყოფილიყო საჭირო, როგორც მათ უნდათ, მაცხოვარი მუზეუმებს დააარსებდა და იქ ლოცვას გვიქადაგებდა. ხატის სახლი ეკლესიაა, იქ, სადაც მას სათანადო პატივს მიაგებენ. ის ცოცხალი არსებაა და მისი დატყვევება ყოვლად დაუშვებელია.

**ჩვენმა ერმა უნდა გაითავისოს, რამხელა სიწმინდეების პატრონია და მისი შეურაცხყოფის უფლება არავის მისცეს. ღვთის საქმე უბრძოლველად არ აღსრულდება, ამიტომაც ლოცვის მადლით უნდა გავერთიანდეთ, გავძლიერდეთ და ეს უდიდესი სიწმიდე ლიტანიობით გადავაბრძანოთ ანჩისხატის ტაძარში. ჩვენი გადარჩენა უფლის ხატისა და სიწმინდეების პატივის აღდგენით უნდა დაიწყოს, მამა გაბრიელის სიტყვებიც ამის დასტურია: „სანამ ერი მუზეუმიდან ანჩის ხატს არ დაიბრუნებს, აწყურის ღვთისმშობლის ხატი არ გამოჩნდება და ივერიის ღვთისმშობლის ხატი არ ჩამობრძანდება, ივერია არ გაბრწყინდება.“**

2005
მაისი

ვითხოვთ ხელთუქმნელი ანჩისხატისთვის თავისსავე სახელდებულ ტაძარში სახატის პროექტის განხორციელებას.

## საქართველოს სხვადასხვა ეკლესიის მრევლისა და სტუდენტ ახალგაზრდობის მიმართვა

ბატონო პრეზიდენტო,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი მრევლისა და სტუდენტ-ახალგაზრდობის სახელით მრავალჯერ მოგმართეთ წერილობითი თხოვნით ხელთუქმნელი ანჩისხატის მუზეუმიდან მისსავე სახელობის ეკლესიაში დაბრუნებისა და სიწმინდეებისათვის ეკლესიური პატივის აღდგენის შესახებ.

წინა ხელისუფლების მსგავსად ანალოგიური მეორდება დღესაც: მხოლოდ გაუთავებელი დამაიმედებელი საუბრები, წერილებზე პასუხი კი დღემდე გაუცემელი რჩება. საწუხენია, რომ წინა ორი წერილი ათასობით ხელმოწერასთან ერთად, რომელიც გამოგიგზავნეთ თქვენ როგორც ინაუგურაციამდე, ასევე მის შემდეგაც, უყურადღებოდ დარჩა. აღსანიშნავია ისიც რომ ბოლო, დეკემბრის წერილი, რომლის ნომერია № 19911, თქვენი ადმინისტრაციის თანამშრომლის ქალბატონი მერი ლომიას მიერ გადაგზავნილი იქნა კულტურის მინისტრის მოადგილესთან, ბატონ ნიკა ვაჩეიშვილთან რომელიც პირად შეხვედრებზე და საინფორმაციო საშუალებებიდან მრევლს სიტყვიერად დაგვპირდა, რომ სათანადო პირობების შექმნის შემთხვევაში, უშუალოდ თქვენი თანხმობით, ხელთუქმნელი ხატი დაუბრუნდებოდა ანჩისხატის ტაძარს. ჩვენი უდიდესი თხოვნაა, რომ ეს დაპირება დაფიქსირდეს წერილობით, შემდეგი საკითხების გათვალისწინებით:

**1) თუ მრევლი შექმნის ხატის უსაფრთხოებისათვის აუცილებელ პირობებს ანჩისხატის ტაძარში, სახელმწიფო დაუყოვნებლივ დაგვიბრუნებს მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს. სიწმინდეებისათვის თაყვანისაცემელ და ამ საკითხისათვის თავდადებულ ათასობით ადამიანს გვსურს კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი ფაქტს, რომ სახატის შექმნისათვის ყველანაირად მზად ვართ.**

**2) დაუბრუნებთ თუ არა ეკლესიას თავის კუთვნილ ქონებას ყოფილ სასულიერო სემინარიის შენობაში (ეხლანდელ სახელმწიფო მუზეუმში), რათა მართლმადიდებელმა მრევლმა შეძლოს იქ არსებული ყველა ხატის მოლოცვა და პარაკლისების ჩატარება, რაც იოლად შესაძლებელია თუ ამას თქვენ მოინდომებთ და სახელმწიფოს სათანადო მესვეურებს აღასრულებინებთ.**

და რადგანაც ანჩისხატისათვის შენობის დაბრუნებით ისტორიული სამართლიანობის აღდგენა დაგიწყიათ, მაშინ მისი გაგრძელება ჩვენი წმინდა მეფეთა მიერ შემკული ანჩისხატისა და ხახულის ღვთისმშობლის ხატის შემწეობის გარეშე ყოვლად წარმოუდგენლად მიგვაჩნია. თუ უმოკლეს დროში პასუხის ნაცვლად ადგილი ექნება გაუთავებელ მომიზეზებებსა და უამრავ შიდა თუ გარე დაბრკოლებების შექმნას, ათასობით ხელმომწერი სტუდენტ ახალგაზრდობასთან ერთად ჩათვლის, რომ 70 წლიანი ხატმებრძოლობა ძალაშია და მთავრობას ჩვენთვის სიწმიდეების დაბრუნება არ სურს.

**მიმართვას თან ახლავს ათასობით მხარდამჭერთა ხელმოწერა.**

# მრევლი თავის პატრიარქს შუამდგომლობას სთხოვს

**საქართველოს სხვადასხვა ტაძრის მართლმადიდებელნი, სტუდენტ-ახალგაზრდობასთან ერთად ძალასა და ღონეს არ დაიშურებთ ხელთუქმნელი ანჩისხატისათვის თავისსავე სახელდებულ ტაძარში  სახატის პროექტის განხორციელებისა და დაცვის უკეთესი პირობების უზრუნველყოფისათვის, ვიდრე იგი მუზეუმშია, რისი დაწყებისთვისაც თუ ხელს არ შეგვიშლიან, ყველანაირად მზად ვართ.**

თქვენო უწმიდესობავ,

მაცხოვრის ხელითუქმნელი ხატისა და სიწმინდეების სახელით შეკრებილი სხვადასხვა ტაძრის მრევლი ქრისტიანული მოკრძალებით თქვენს მამა-შვილურ ყურადღებას კვლავაც ვითხოვთ. როგორც ბევრჯერ აღგვინიშნავს, წლების მანძილზე თქვენს თანადგომას მრევლი უთქმელადაც ყოველთვის გრძნობდა. გავიხსენებთ, რომ 1996 წელს სწორედ მორწმუნეთა მრავალი თხოვნის შემდეგ მიმართეთ სახელმწიფოს ხელითუქმნელი ანჩისხატის დაბრუნებასთან დაკავშირებით და აღნიშნეთ, რომ იგი „წმიდა ნინოს ჯვართან და სხვა სიწმიდეებთან ერთად სათანადოდ იქნება დაცული ტაძარში და მის წინაშე აღევლინება ლოცვები ჩვენი ქვეყნის მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის“.

თუ რატომ არ დაუბრუნა სახელმწიფომ ეკლესიას თავისი კუთვნილი ხატი მალე გამოჩნდა — 1999 წელს მთავრობის მხრიდან სიწმიდეების გატანის აშკარა მცდელობაა. ისტორია მეტყველებს, რომ ამ საკითხებში ერის მხარდაჭერა ყოველთვის კურთხეული იყო, რაც მათი კეთილი საქმეებიდანაც ჩანს.

ამ ძნელბედობის ჟამს ანჩისხატი თქვენი წინამძღვრობით ერმა და ბერმა ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად მოვითხოვეთ და ყველანი სწორედ უფლისა და ქვეყნის წინაშე ჩვენივე საქმით ვაგებთ პასუხს!

ამიტომაც წელს მართლმადიდებლებმა ერთობით დაიწყეს სხვადასხვა ტაძრებში ანჩისხატის ასლების ლიტანიობით შეწირვა და მისი დედაქალაქის გარშემო შემოტარება, ასევე მუზეუმში დატყვევებული სხვადასხვა ხატებისა და მათი ისტორიების გავრცელება. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ასიათას მოწამეთა ხსენების დღეს გადმოგეცით ანჩისხატის ასლი და თქვენც ამ დღეს დაგვლოცეთ და გვაკურთხეთ. ეს პროცესი სრულიად საქართველოს გადასწვდა და ანჩისხატით ლიტანიობა მართლმადიდებელთა ზეიმად იქცა — თბილისის, ქუთაისის, თელავის, მცხეთის, რუსთავის მართლმადიდებელი მრევლი ამ ხატის მადლმა გააერთიანა, რომელთაც წინ ყოველთვის თქვენი კურთხეული სიტყვები მიუძღოდა, რომ ანჩისხატისა და სიწმინდეების წინაშე მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს ლოცვა.

ყოველივე ამის შემდგომ ამ კეთილი საქმის მოშურნეთათვის ძალიან დამაბნეველი და დამაბრკოლებელია თქვენი მოთხოვნის საწინააღმდეგო შინაარსის მქონე სტატიის გამოქვეყნება ისეთი საპასუხისმგებლო გაზეთის ფურცლებზე, როგორიც „საპატრიარქოს უწყებანია“ (№13.2005წ), სადაც ისე გამოჭყავთ, თითქოს არ ვიცოდით რას ვითხოვდით! ეს საშინელი შეურაცხყოფაა ყველა იმ სასულიერო თუ საერო პირისა ვინც ბოლო დროს მონაწილეობა მიიღო

ამ ღვთისთვის სათნო საქმეში. ეს წერილი მამა რევაზის წარსული წლების საქმიანობას რადიკალურად ეწინააღმდეგება, რასაც ტელევიზიასა თუ გაზეთებისთვის მის მიერ მიცემული ინტერვიუებიც ადასტურებენ. საეჭვოა ისიც, რომ მუზეუმთან აქცია და მიტინგი, როგორც წერილშია ნახსენები, ნამდვილად არ მიმდინარეობს, ხოლო რაც ხდება სინამდვილეში  ლოცვა, ლიტანიობა და ეკლესიებში ხატების შეწირვა  ეს ნახსენები საერთოდ არ არის. სამაგიეროდ კარგად არის გაუკუღმართებული მრევლის მიერ ბოლო წლებში გაწეული ქველმოქმედება. მადლობა უფალს, – სიკეთის საზღაურს აქ არც ველოდებით. სტატიაში მოყვანილი ფაქტები რომ წინასწარ დაგეგმილი სიცრუეა, ამას კორესპონდენტის ცილისმწამებლური კითხვებიც ააშკარავებს. ჩვენ მათ ვურჩევდით, რომ შენდობა ითხოვონ იმ ათასობით ხატთა თაყვანისმცემელთა წინაშე, რომელნიც მათ მაგივრადაც იცავენ სიწმიდეებს, ისიც გვინდა იცოდნენ, რომ საზოგადო ცოდვებისათვის ბრძოლა თვითნებურობა კი არა, თითეული ჩვენთაგანის მოვალეობაა.

ჟურნალის ,,სიწმიდეები გვიხმობენ" პრეზენტაციაზე მოწვეული თქვენც ბრძანდებოდით, ამ შეხვედრას კი მამა რევაზთან ერთად მრავალი სასულიერო პირი, ბაგრატიონთა, თავადაზნაურთა და ღირსეულ მამულიშვილთა წარმომადგენლები დაესწრნენ, რომელთა თანადგომაც სწორედაც ამ საკითხისადმი ჟურნალის უკანა გვერდზეა ხელმოწერების სახით მითითებული. ყველას უკვირს, მაშ რა გახდა მიზეზი ეკლესიის წიაღში ამ ცრუ წერილის შექმნისა, რომლის უსამართლობამაც ბევრს თვალები აუხილა.

მაშინ, როცა ჩვენს ბოლო წერილზე მთავრობამ კულტურის მინისტრის მოადგილის ნიკა ვაჩეიშვილის პირით პასუხი გაგვცა და სიტყვიერად შეგვპირდა პირობების შექმნის შემთხვევაში ანჩისხატის თავისსავე სახელობის ტაძარში დაბრუნებას, ბუნებრივია რომ ბოროტმა სწორედ ამ ეკლესიიდან მოინდომა ამ საკითხის წაქცევა პრიმიტიული მეთოდით — თუ ანჩისხატის სამღვდელოებას ხატის დაბრუნებაზე უარს ვათქმევინებთ სამების ტაძრის არარსებული მუზეუმის საბაბით — ერიც დაბრკოლდება. ასეთ შემთხვევაში უფრო მეტი შემართებით ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ სახატის შესაქმნელად მზად ვართ არამარტო ანჩისხატის ტაძარში (პირიღვთის ხატისათვის), არამედ სამების ტაძარშიც, თუკი მთავრობა ანჩისხატთან ერთად სხვა რომელიმე სიწმიდესაც გადმოგვცემს. წმიდა სამების ტაძარში ანჩისხატის გადაბრძანების ,,იმედი" იმას ჰგავს, მძიმე ავადმყოფი წყალს ითხოვდეს და სახვალიოდ ჰპირდებოდნენ.

თუ წმიდა მამები გვასწავლიან საზოგადო ცოდვის დროს სიჩუმე დანაშაულიაო, ხატმებრძოლობაზე დიდი საზოგადო ცოდვა მართლმადიდებლობაში რაღა უნდა იყოს? თუ ეკუმენიზმის ცრუ სწავლებიდან გამოვედით და აქ კი სიწმინდეთმკრეხელობისა და სხვა უსჯულოების თანამონაწილენი დავრჩით, ნამდვილად მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. და არავინ თქვას, რომ ეს საკითხები მხოლოდ იერარქიის პრობლემაა, მაშინ 1999 წელს სტუდენტი-ახალგაზრდობის მიერ სიწმიდეების დაცვა, 2003 წლის გამოსვლები კათოლიციზმის წინააღმდეგ, განა მრევლის უხეშ ჩარევად უნდა ჩაითვალოს ,,საეკლესიო საქმეში?" ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დიდი მამულიშვილი ექვთიმე თაყაიშვილი, სასულიერო პირი არ იყო, მაგრამ განა იგი უფალმა კეთილი საქმეებისთვის დაიწუნა?

პირმოთნეობისა და ბრმად მორჩილების პრობლემა, რომელსაც თქვენს ქადაგებებში მრავალგზის შეხებიხართ, სამწუხაროდ ჩვენს ეკლესიაში კვლავაც დგას. თუ მოძღვრისა და მრევლის წრფელი ურთიერთობა ბოროტმა იმ იარაღად უნდა აქციოს, რომ სწორედ გადამწყვეტ მომენტში მრევლს „სიცრუეში მორჩილება“ მოთხოვოს, მაშინ სიბრმავეს გაუმარჯვნია, ხრამისკენ ჩვენივე ნებით მივერეკებით და საკვირველიცაა ასეთი საქმეებით რაღა სიკეთეს ველოდებით. ვისაც ჰგონია რომ ანჩისხატის ადგილსამყოფელის შეცვლა შეუძლია პიროვნულად გადაწყვიტოს შევახსენებთ, რომ ანჩისხატის, სვეტიცხოვლის, გელათის ტაძრები და ისეთი სიწმიდეები, როგორიც უფლის კვართი და მისი ხელითუქმნელი ხატია, სრულიად საქართველოს კუთვნილებაა და ამ ღვთისთვის სათნო საქმეს ვერანაირი ბოროტის მანქანებით ვერ შეაჩერებენ. თავის დროზე უფალმა აქ ინება თავის ხატის დაბრძანება და დღეს სწორედ უფლისავე შეწევნით ერი ანჩისხატის თავისსავე სახელდებულ ტაძარში დაბრუნებას ითხოვს და თუ ეს ვინმეს არ მოსწონს მისი ნებაა...

როდესაც თანახმანი ვართ სიწმიდეები მუზეუმში ულოცველად დავტოვოთ, სწორედ მაშინ უჩნდება ბოროტს მათი გატანისა და მათით ვაჭრობის სურვილი. უამრავი წმიდა მამების კანონები და შეჩვენებებიც ხომ ამასვე ადასტურებენ, რომ არ შეიძლება სიწმიდეების სხვა მიზნით გამოყენება. ამიტომაც უმორჩილესად გთხოვთ უწმიდესო, დღეიდან ნუღარ დავტოვებთ ჩვენს სიწმიდეებს უპატრონოდ, სანამ მათ წინაშე ლოცვა არ აღდგება. და თუ ხატებს საქართველო ჯერ არ დაუტოვებიათ და ვინმე გუროვს ამხელა პრეტენზიები აქვს ვალებთან დაკავშირებით, სიწმიდეების გატანის შემდგომ უკან დაბრუნებაზე ადვილი წარმოსადგენია რა ულტიმატუმები შეიძლება წაუყენონ ისეთ ხელოვნურად გაღატაკებულსა და ვალებში მყოფ სახელმწიფოს, როგორიც საქართველოა. ხოლო თუ განსაცდელის ჟამს ჭეშმარიტება ვუარყავით და სიმართლისათვის მებრძოლთ თვითნებურები ვუწოდეთ, მაშინ გამოდის, რომ — ღალატს მორჩილება უნდა დავარქვათ და ღვთის ერთგულებას კი ურჩობა. რაც ღმერთმა ნუ ქნას!

თქვენო უწმინდესობავ, ის მორწმუნეები რომელთა ვედრებაც გაითვალისწინეთ ათი წლის წინ და სახელმწიფოსგან ითხოვეთ ანჩისხატის ტყვეობიდან განთავისუფლება, ის მორწმუნეები რომლებმაც რთულ ჟამს მიუხედავად შიდა თუ გარე ზეწოლისა შეძლებისდაგვარად შეასრულეს თქვენი ჭეშმარიტი კურთხევა, რომ სიწმიდეების წინაშე მუდმივად წარმართულიყო ლოცვა — **დღეს, სწორედ ის მორწმუნეები სტუდენტ-ახალგაზრდობასთან ერთად ერისათვის გადამწყვეტ ამ ისტორიულ მომენტში მოგმართავთ თქვენ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომ კვლავაც შეეწიოთ ამ ღვთისთვის სათნო საქმეს და გვიშუამდგომლოთ, რომ განვახორციელოთ სახატის პროექტი და ეს უდიდესი სიწმინდე მართლმადიდებლობისა სამართლიანად დავუბრუნოთ თავისსავე სახელდებულ მხცოვან ანჩისხატის ტაძარს, რათა მისი მადლითა და შეწევნით კვლავაც ჭეშმარიტად ვიყოთ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს.**

წერილს თან ახლავს ათიათიათასამდე სხვადასხვა ეკლესიის მრევლისა და სტუდენტ-ახალგაზრდობის ხელმოწერა.

# პორტ-არტურის ღვთისმშობლის ხატის ისტორია

2003 წელს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ჩამოაბრძანეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი „პორტ-არტური“. იგი იმ ხატის ასლია, რომელიც ასი წლის წინ შეიქმნა. ხატის ისტორია ასეთია: ერთხელ, ღამით მეზღვაური თეოდორე უცნაურმა ხმამ გამოაღვიძა. მან თავად ღვთისმშობელი დაინახა, რომელიც ანგელოზებით იყო გარშემორტყმული. მათ სათავეში მთავარანგელოზი მიქაელი და გაბრიელი ედგათ. იგი მეზღვაურს უცქერდა და, ამავე დროს, ზურგით ზღვის ყურისკენ იდგა. მას ხელში დიდი ტილო ეკავა, რომელზეც მაცხოვრის ხელითუქმნელი ხატი იყო გამოსახული. შორიდან ნისლში მოჩანდა ზღვის სანაპიროზე გაშენებული ქალაქი, რომელიც ცეცხლის ალში იყო გახვეული. მეზღვაური მიხვდა, რომ ღვთისმშობელი სწორედ მას უყურებდა. მის თავზე ღრუბლებში ანგელოზებს ცისარტყელების გვირგვინი ეპყრათ. გვირგვინის თავზე ჯვარი იყო გამოსახული. ამ ყოველივეს ზევით კი თავად უფალი საბაოთი, უბრწყინვალესი ნათლით გარემოცული და გაისმოდა სიტყვები: „და იყავნ თქვენ ერთ მწყემსს და ერთ სამწყსო“. ღვთისმშობელი თავისი ფეხებით თელავდა გაშიშვლებულ და გადატეხილ ხმლებს.

ამ ხილვით თავზარდაცემული მეზღვაური ძლიერ შეცბუნდა, მაგრამ ღვთისმშობელმა გაამხნევა და უთხრა: „შორეული ზღვის სანაპიროზე ქვეყანას დიდი ბრძოლა ელის. დაწერე ხატი, რომელზეც აღწერ ამ ხილვას და გაგზავნე იგი პორტ-არტურში. თუკი ჩემი ხატი მოთავსდება ქალაქის კედელში, მართლმადიდებლები გაიმარჯვებენ“. შემდეგ არაჩვეულებრივმა, დამაბრმავებელმა სინათლემ მოიცვა ოთახი და ჩვენება გაქრა.

ამის შემდეგ მოხუცი მეზღვაური კიევ-პეჩორის მონასტერში მივიდა და ყველაფერი ბერებს უამბო. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი მართლაც შეიქმნა და „პორტ-არტურის“ ღვთისმშობელი ეწოდა. 1980 წელს ხატმწერმა მიქაელ ოსიპენკომ ნახა იგი ქალაქ კირჟაჩში მოქმედ ერთადერთ ტაძარში და გადაწყვიტა შეექმნა მისი ასლი. 2003 წელს, როდესაც უკვე ასი წელი გავიდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის გამოცხადების შემდეგ, ხატის ასლი დასრულდა. გადაწყდა ეს ხატი რუსეთიდან ჩინეთში, პორტ-არტურში გადაესვენებინათ, რათა აღსრულდეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სურვილი, რომელიც რატომღაც ასი წლის მანძილზე ვერავინ შეასრულა. თბილისში ეს ხატი ღვთის განგებით ციმბირიდან მოასვენეს. კითხვაზე თუ რა მიზნით ჩამოაბრძანეს ხატი მაინცდამაინც საქართველოში, მომლოცველებმა შენიშნეს: „ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი დედა მობრძანდა თავის მამულში“. ამ ხატის ისტორია საქართველოს ტყუილად როდი დაუკავშირეს. გარდა იმისა, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილია, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი – ჩვენი მხსნელი ანჩისხატიც ხომ აქ ბრძანდება და როგორც ღვთისმშობელი გატეხილი ხმლებით მიგვანიშნებს, მოწევნულ ჟამს მართლმადიდებლებისგან ბოროტის ძლევა იარაღით კი არა, სწორედ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის მეშვეობით უნდა მოხდეს. ერთობით ვილოცოთ საქართველოს გადარჩენისათვის.

**პორტ-არტურის ხატის მადლი ფარავდეს ყოველ მართლმადიდებელს.**

**სარედაქციო კოლეგია:** ზ.ნანობაშვილი, ი.ნოზაძე, ი.სიორდია, ნ.ზაქროშვილი, თ.ბარათაშვილი; **კომპ. გრაფიკა:** ი.მარტაშვილი; **კორექტურა:** ე.ბედენაშვილი, ნ.მჭედლიშვილი, ე.გიგაშვილი, ს.ბეჟანიშვილი; **ფოტო კორესპონდენტი:** ნ.შათირიშვილი.

თბილისი. 2005 წელი.